



დამტკიცებულია შპს „ქუთაისის უნივერსიტეტი“

რექტორის 22/04/2019წ. №325 ბრძანებით

შპს ქუთაისის უნივერსიტეტის რექტორი

ლელა ქელბაქვაძე:



შპს „ქუთაისის უნივერსიტეტი“ პლაგიატის დებულება

ქუთაისი, 2019 წელი.

შინაარსი

➤ ზოგადი დებულებები	2
➤ პლაგიატზე ინფორმირება	2
➤ პლაგიატზე შემოწმების წესი და პროცედურა	2
➤ პლაგიატზე შემოწმების ორგანიზება:	4
➤ გარდამავალი დებულებები	4
➤ დანართი-1	5
➤ დანართი-2	6
➤ დანართი-3	7

➤ ზოგადი დებულებები

1. პლაგიატის აღმოჩენისა და მასზე რეაგირების წესი განსაზღვრავს „ქუთაისის უნივერსიტეტში“ აკადემიურ და სტუდენტურ სივრცეში აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს და დარღვევის შემთხვევაში, მასზე რეაგირების მექანიზმებს.
2. უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტთა მოვალეობაა, პატივი სცეს სხვის ინტელექტუალურ საკუთრებას, დაიცვას აკადემიური კეთილსინდისიერება და გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის რეპუტაციასა და პრესტიჟს.
3. ქუთაისის უნივერსიტეტის პლაგიატის დებულება განსაზღვრავს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადისერტაციო ნაშრომებში, ასევე კვლევით პროექტებში და გამოსაქვეყნებელ სტატიებში პლაგიატის პრევენციის, გამოვლენის, აღმოფხვრისა და მასზე რეაგირების მეთოდებს.
4. აღნიშნული დებულების ამოქმედების ძირითად მიზანს წარმოადგენს სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვა.

➤ პლაგიატზე ინფორმირება

1. უნივერსიტეტის სტუდენტთა და აკადემიურ პერსონალთა ინფორმირება პლაგიატის პრევენციის წესზე ხდება მათთან ხელშეკრულების გაფორმების მონეტში.

➤ პლაგიატზე შემოწმების წესი და პროცედურა

1. ქუთაისის უნივერსიტეტში პლაგიატზე შემოწმებას ექვემდებარება საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომები, ასევე უნივერსიტეტში განხორცილებული სამეცნიერო კვლევითი პროექტები/ნაშრომები, უნივერსიტეტის ჟურნალში გამოსაქვეყნებელი სტატიები, არსებული ანტიპლაგიატის სისტემის (strikeplagiarism.com) მეშვეობით.
2. strikeplagiarism.com ანტიპლაგიატის სისტემა არის IT ინსტრუმენტი, რომელიც ახდენს ტექსტური დოკუმენტების ავთენტურობის დადგენას. სისტემის ამოცანას წარმოადგენს: მოიძიოს და მოახდინოს სხვა წყაროდან ამოღებული ინფორმაციის იდენტიფიცირება. ხელი შეუწყოს ტექსტის შეფასებას, მიუთითოს მათი მდებარეობა. სისტემა გამოავლენს გასაანალიზებელ დოკუმენტში იმ იდენტურ ფრაგენტებს, რომლებიც განთავსებულია სხვადასხვა მონაცემთა ბაზებში, ინტერნეტ რესურსებში. მათ შორისაა,

სათანადოდ მოხსენიებული ციტატები და სქოლიოები და ის ფრაგმენტები, რომლებიც არ არის დაცული საავტორო უფლებებით (მაგ.სამართლებრივი აქტები).

3. ერთი ნაშრომი პლაგიატის არსებობაზე მოწმდება არაუმეტეს 2 ჯერ.
4. საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ელექტრონული ვერსიები დაცვამდე არანაკლებ 3 კვირით ადრე უნდა წარედგინოს უნივერსიტეტს პლაგიატზე შესამოწმებლად. ხოლო სამეცნიერო პროექტი/ნაშრომი არანაკლებ 2 კვირისა. ნაშრომების პლაგიატზე შემოწმება მოხდება მიღებიდან 10 დღის განმავლობაში.
5. თუ ავტორი არ წარადგენს ნაშრომს პლაგიატის არსებობაზე შესამოწმებლად, ის დაცვაზე არ დაიშვება.
6. საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომი ფასდება დადებითად თუ:
 - ა) შესამოწმებელი ნაშრომის ტექსტის სხვა ნაშრომის ტექსტებთან მსგავსების კოეფიციენტი არ აღემატება 70 %-ს (5 სიტყვიან წინადადებაში);
 - ბ) ნაშრომი ფასდება დადებითად თუ: შესამოწმებელი ნაშრომის ტექსტის სხვა ნაშრომის ტექსტებთან მსგავსების კოეფიციენტი არ აღემატება 10 %-ს (25 სიტყვიან წინადადებაში) .
7. სადისერტაციო ნაშრომი, კვლევითი პროექტი და სამეცნიერო სტატია ფასდება დადებითად თუ:
 - ა) შესამოწმებელი ნაშრომის ტექსტის სხვა ნაშრომის ტექსტებთან მსგავსების კოეფიციენტი არ აღემატება 50 %-ს (5 სიტყვიან წინადადებაში);
 - ბ) ნაშრომი ფასდება დადებითად თუ: შესამოწმებელი ნაშრომის ტექსტის სხვა ნაშრომის ტექსტებთან მსგავსების კოეფიციენტი არ აღემატება 5 %-ს (25 სიტყვიან წინადადებაში) .
8. თუ ტექსტის მსგავსების კოეფიციენტი აჭარბებს ამ დებულებით დადგენილს, ნაშრომი ხარვეზდება და გადაეცემა ავტორს გადასამუშავებლად. ავტორი ვალდებულია 5 სამუშაო დღის ვადაში დააბრუნოს ნაშრომი შესამოწმებლად.
9. პლაგიატის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში შესაბამისი გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს დეკანის ბრძანებით შექმნილ ექსპერტთა დროებით კომისიასთან გადაწყვეტილების გამოტანიდან 5 დღის ვადაში.
10. თუ ნაშრომი მეორე ჯერზეც ვერ გაივლის პლაგიატზე შემოწმებას, ასეთ შემთხვევაში საბოლოო გადაწყვეტილებას ნაშრომის დაცვაზე დაშვებასთან დაკავშირებით იღებს დეკანის მიერ ბრძანებით შექმნილი ექსპერტთა დროებითი კომისია.
11. დადებით დასკვნის, შემოწმების ოქმის, და ხელმძღვანელის დასკვნის ერთი პირი ინახება ავტორის პირად საქმეში ხოლო მეორე პირი გადაეცემა ავტორს.
12. პლაგიატად არ შეიძლება ჩაითვალოს: მუხლი კოდექსიდან, კანონიდან კანონქვემდებარე აქტიდან; ტერმინები, ციტატები-ავტორის მითითებით.

➤ პლაგიატზე შემოწმების ორგანიზება:

1. ავტორი შევსებულ განაცხადის ფორმას, ნაშრომის ამობეჭდილ და ელექტრონულ ვერსიას აბარებს შესაბამისი სწავლების საფეხურის კოორდინატორს, რომელიც მიღებულ ნაშრომის ელექტრონულ და ამობეჭდილ ვერსიას გადასცემს შესაბამის სისტემაზე ნაშრომის შესამოწმებლად სტრატეგიული კვლევებისა და ინტერნაციონალიზაციის სამსახურს.

➤ გარდამავალი დებულებები

1. ქუთაისის უნივერსიტეტის პლაგიატის დებულებაში ცვლილების შეტანა შესაძლებელია რექტორის ბრძანებით.
2. უნივერსიტეტის სტუდენტები და პერსონალი ვალდებული არიან გაეცნონ წინამდებარე წესს, ხოლო ადმინისტრაცია ვალდებულია დოკუმენტი განათავსოს ვებ გვერდზე.
3. წინამდებარე წესი ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების შემთხვევაში.

➤ დანართი-1

განცხადება

ნაშრომის ავტორი

სახელი და გვარი _____

ვაცხადებ, რომ ჩემი ნაშრომი: _____

მომზადებულია ჩემს მიერ, არ არღვევს ეთიკის ნორმებს სხვა ავტორთა მიმართ. წყაროები მითითებულია დადგენილი წესით. ვფლობ ინფორმაციას პლაგიატის გამოვლენის შემთხვევაში გასატარებელი სანქციების შესახებ.

თარიღი _/ _/ _ _ _ _ წელი

ხელმოწერა: _ _ _ _ _

➤ დანართი-2

ნაშრომის შემოწმების ოქმი

ავტორი: _____

სპეციალობა: _____

სამეცნიერო ხელმძღვანელი : _____

ფაკულტეტი: _____

სამეცნიერო ნაშრომის ტიპი:

- საბაკალავრო ნაშრომი
- სამაგისტრო ნაშრომი
- სადისერტაციო ნაშრომი
- სტატია
- კვლევა
- სხვა

პლაგიატზე ნაშრომის შემოწმების შედეგად დადგინდა:

- ნაშრომი არ შეიცავს პლაგიატს
- ნაშრომი არ აკმაყოფილებს „ქუთაისის უნივერსიტეტის პლაგიატის დებულებით“ დადგენილ კოეფიციენტებს

თარიღი_ / _ / _ წელი

ხელმოწერა: _____

➤ დანართი-3

ექსპერტთა დროებითი კომისიის
დასკვნა ნაშრომის შესახებ

ავტორი _____ ის მიერ შესრულებული ნაშრომის

_____ შესწავლის შედეგად
ვამტკიცებთ:

- ნაშრომში აღმოჩენილი მცირე მსგავსება არ შეიცავს პლაგიატის ნიშნებს და შესაძლებელია მიღებულ იქნას დასაცავად.
- ნაშრომში აღმოჩენილი მსგავსების კოეფიციენტი აჭარბებს დადგენილ ნორმებს, რის გამოც ის საჭიროებს გადამუშავებას;
- ნაშრომში აღმოჩენილია იდეების მითვისების და საავტორო უფლების მითვისების მცდელობა, რის გამოც არ დაიშვება დაცვაზე
- ნაშრომი შეიცავს პლაგიატის აშკარა ნიშნებს, რის გამოც არ მიეცემა შემდგომი მსვლელობა/ არ გამოქვეყნდება

ვადასტურებთ ხელმოწერით:

თარიღი _/ _/ _ წელი

-

თავმჯდომარის ხელმოწერა: _